აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი სუბტროპიკულ-არიდულ ზონაში ზეთისხილის (Olea) გავრცელების თავისებურებანი

თინათინ არჩვაძე[a]

ელ-ფოსტა: tinatin.archvadze2014@ens.tsu.ge

[a]გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი საქართველო

ზეთისხილს უწოდებენ "ხეთა ხეს", "პირველს ყველა ხეთაგან". ძველ საბერძნეთში ზეთისხილის ხე მიიჩნეოდა სინათლისა და გონიერების ქალღმერთის - ათენა პალადას ხედ. ის იყო სიბრძნისა და მშვიდობის, ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სიმბოლო.

ზეთისხილის სამშობლო ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნებია, მისი სამრეწველო პლანტაციები ასევე გაშენებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. საქართველოში, აფხაზეთის და კახეთის მშრალ სუბტროპიკულ ზონაში, ოდითგანვე იყო გავრცელებული ზეთისხილის კულტურა. აღმოჩნდა, რომ საქართველოში ის ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში შემოუტანიათ უცხოელებს. გაშენებული იყო კახეთის მშრალ სუბტროპიკულ ზონაში, კერძოდ, სოფელ ზემო ბოდბეში, ზღვის დონიდან 450 მეტრზე.

არსებობს ზეთისხილის არსებობის ისტორიული ფაქტები საქართველოში. ზეთისხილის მოშენება 1879 წელს ახალ ათონში დაიწყეს ბერებმა და დიდი პლანტაცია გააშენეს. დღევანდელი პლანტაციები გაშენებულია როგორც კახეთში, ასევე მარნეულსა და გურიაში, თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველაზე კარგი შედეგი გამოვლინდა კახეთში, კერძოდ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოში, სადაც ფუნქციონირებს ზეთისხილის დამამზადებელი და ზეთის საწური საწარმო. აქ ჩამოყალიბებულია ზეთისხილის პლანტაციების განვითარებისთვის ხელსაყრელი ჰავა, კერძოდ, ზომიერად ნოტიო ჰავა, აქ ზამთარი ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული ცხელი. საშუალო წლიური ტემპერატურა 11^0-13^0 , იანვრის - 0^0-1^0 , უთბილესი თვის ტემპერატურა 21-25^0 . ნალექები 700–1000 მმ წელიწადში, ნალექების მაქსიმუმი მაისშია, მინიმუმი - იანვარში. დანესტიანების კოეფიციენტი 1-ზე მეტია. მდგრადი თოვლის საბურველი ყოველთვის არ ჩნდება, როცა ჩნდება მისი საშუალო სიმაღლე 5-15 სმ-ს არ აღემატება, მაქსიმალური 75 სმ-ს აღწევს.

ზეთისხილი ხარობს თითქმის ყველა ტიპის ნიადაგში,მაგრამ უმჯობესია მისი გაშენება კარბონატულ, ყავისფერ, ალავიურ ნიადაგებსა და მშრალქვიან ფერდობებზე. ზეთისხილი - 7^0 -9^0 გრადუს ყინვას უძლებს. ნაყოფს იყენებენ დასამზადებლად, დასაკონსერვებლად, ზეთის გამოსახდელად, მედიცინაში, კოპტონს — ცხოველთა საკვებად, მერქანს — სადურგლო და სახარატო საქმეში.